სისტემური და საჭიროებაზე მორგებული კვლევები და გამოკითხვები

თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ხელმძღვანელობს სისტემური და საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების განხორციელების პროცესებს. ამ მიზნით სამსახური ყოველწიურიად ახდენს უნივერსიტეტში არსებული კითხვარების გადამუშავებასა და განახლებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ახალი კითხვარების შემუშავებას.

დღესდღეობით უნივერსიტეტში დანერგილია შემდეგი სისტემური კვლევები და გამოკითხვები:

- **სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა;**
- **უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების გამოკითხვა;**
- **უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა;**
- **დოქტორანტების გამოკითხვა;**
- **მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;**
- **დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა**.

ყოველწლიურად სამსახური მუშაობს საჭიროებაზე მორგებული კვლევების შემუშავების კუთხითაც, რაც ემსახურება უნივერსიტეტში წამოჭრილი მიმდინარე პრობლემის შესწავლასა და მათზე რეაგირებას. ამ მზრივ აღსანიშნავია სამსახურის მიერ 2018 წელს კრედიტების აღიარების პროცესის შესწავლის მიზნით ჩატარებული მცირემასშტაბიანი საჭიროებაზე მორგებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა კრედიტების აღიარების პროცესში მონაწილე 275 კაციანი მცირე შერჩევის ჯგუფის გამოკითხვასა და მათი გამოცდილების გაზიარებას.

2018-2019 წლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობით (შედგა 6 სამუშაო შეხვედრა) გადამუშავდა (სულ 6 კითხვარი) და განახლდა სტუდენტთა ყოველსემესტრული, მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და დოქტორანტების გამოკითხვის კითხვარები. კითხვარებში განხორციელებული ცვლილებები შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად: ცვლილებები, რომელიც შეეხო კითხვარების სტრუქტურასა (კითხვარების ოპტიმიზაცია) და კითხვარების შინაარსობრივ ნაწილს (დაემატა სხვადასხვა შინაარსობრივი შეკითხვა). კითხვარებში განხორციელებული ცვლილებები მოიცავდა:

- ✓ კითხვების დაზუსტებასა და სწორად ფორმულირებას;
- ✓ კითხვების რაოდენობის შემცირებას;
- ✓ რევესრული კითხვების დამატებას;
- ✓ მეტად ფოკუსირებას პრიორიტეტულ თემებზე;
- ✓ კითხვარების სტრუქტურისა და ფორმის ცვლილებას.

ძირეული ცვლილებები ამ კუთხით შეეხო მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილებისა (მაგ., დოქტორანტების კითხვარში გაჩნდა მთელი რიგი შეკითხვები პროგრამის სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების მნიშვნელობის/საჭიროების, სწავლების ხარისხისა და მარეტიალური რესურსების შესახებ. დაზუსტდა შეკითხვები სამეცნიერო

ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ გაწეული კონსულტაციებისა და ზოგადად თანამშრომლობით კმაყოფილებასთან დაკავშირებით).

განხორციელებული ცვლილებების შედეგად გადამუშავებული კითხვარები გახდა უფრო ფოკუსირებული, თემატურად დალაგებული, რეალისტური, მარტივად აღსაქმელი, ორიენტირებული სწორი/ზუსტი ინფორმაციის მოპოვებაზე. გარდა ამისა, შედგენილია სტუდენტთათვის გასაგები ტერმინებით/ენით და გამოყენებულია სწორი ინსტრუქციები. გამორიცხავს კითხვათა მცდარ ფორმულირებებს.

2018-2019 წლებში სამსახურის მანდატის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა 5 კვლევა. აღნიშნულ კვლევებს წინ უსწრებდა კითხვარების პილოტირება, რის შედეგადაც განხორციელდა კითხვარებში შესატანი ცვლილებების იდენტიფიცირება. პილოტირების შემდგომ ეტაპზე გადამუშავებული კითხვარებით ჩატარდა შემდეგი კვლევები:

- **სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა;**
- **უნივერსიტეტის 2018 წლის კურსდამთავრებულების გამოკითხვა;**
- **უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა;**
- **მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;**
- **დოქტორანტების გამოკითხვა.**

კითხვარის დახვეწის შედეგად უფრო რეალისტურად წარმოჩნდა გასულ წლებთან შედარებით როგორც საუნივერსიტეტო სერვისა და მიმდინარე პროცესების პოზიტიური მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი საკითხები, რაც დამატებით საშუალებას იძლევა მართებულად დაიგეგმოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, განახლდეს და მოვიდეს შესაბამისობასთან რეგულაციები და პროცედურები.

საუნივერსიტეტო სივრცეში გამოკითხვების ორგანიზება და მონაცემთა ანალიზი

1. სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა: კითხვარი ჩაეშვა LMS ელექტრონულ ბაზაში 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში. დაფიქსირდა რესოინდენტთა უპრეცენდენტო აქტიურობა. გამოკითხვის პროცესში, სასწავლო კურსები და მათი განმახორციელებელი პირები შეფასდა **5309** სტუდენტის მიერ (წინა სემესტრში გამოკითხვაში მონაწილეობდა მხოლოდ **130** სტუდენტი);

- **კვლევის პროცესში გამოიკვეთა**: *საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასებისას გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტირებისა და მათი სწავლის შედეგების გაუმჯობესების კუთხით*:
  გამოკითხვაში მონაწილე 5309 სტუდენტიდან:
  ა) შეკითხვაზე, არის თუ არა ლექტორი მზად სტუდენტებს გაუწიოს კონსულტაცია, შემთხვევების 76%-ში დაფიქსირდა უმაღლესი - 5 ქულიანი შეფასება, ხოლო დაბალი - 1 და 2 ქულიანი შეფასებები დაფიქსირდა შემთხვევების 7%-ში.
  ბ) შეკითხვაზე, არის თუ არა მზად სასემინარო და სამუშაო ჯგუფის/პრაქტიკული მეცადინეობების/ლაბორატორიული სამუშაოების ხელმძღვანელი გაუწიოს

სტუდენტს კონსულტაცია, შემთხვევების 81%-ში დაფიქსირდა უმაღლესი - 5 ქულიანი შეფასება, ხოლო დაბალი 1 და 2 ქულიანი შეფასება დაფიქსირდა შემთხვევების მხოლოდ 6%-ში, რაც მიუთითებს უნივერსიტეტში კონსულტირების სისტემის გამართულობასა და შედეგიანობაზე.

გ) ასევე პოზიტიური შედეგები დაფიქსირდა გამოცდების ორგანიზებისა და ლექტორებისგან უკუკავშირის მიწოდების მიმართულებითაც. კითხვაზე: ***დროულად აცნობებს თუ არა ლექტორი სტუდენტებს ლექციების შეფასების შედეგებს***, გამოკითხულთა თითქმის 71%-მა დაფიქსირა უმაღლესი (5 ქულა) და მომდევნო პოზიტიური პასუხი 14%-მა (4 ქულა), კითხვას დაბალი შეფასება (1 და 2 ქულით) მისცა სტუდენტთა 8%-მა.

დ) კითხვაზე: ***განუმარტავს თუ არა ლექტორი/ასისტენტი სტუდენტებს მათ მიერ დავალებებსა და შუალედურ გამოცდაში დაშვებულ შეცდომებს ინდივიდუალურად***, გამოკითხულ სტუდენტთა პასუხებში თითქმის 64% მოიცვა უმაღლესმა (5 ქულა) და 10 % მომდევნო მაღალმა (4 ქულა) შეფასებამ, ყველაზე დაბალი შეფასება (1 და 2 ქულა) დაჯამდა 16%-ით.

ე) კითხვაზე: ***განმარტავს თუ არა სასემინარო და სამუშაო ჯგუფის/პრაქტიკული მეცადინეობების/ლაბორატორიული სამუშაოების ლექტორი სტუდენტების მიერ დავალებებსა და შუალედურ გამოცდებში დაშვებულ შეცდომებს***, გამოკითხულ სტუდენტთა მეტწილმა პოზიტიურად გასცა პასუხი 74% (5 ქულა) და 12% (4 ქულა). სტუდენტთა მიერ ამ თემის ყველაზე დაბალი შეფასება (1 და 2 ქულა) დაჯამდა 9%-ით.

2. თსუ-ს 2018 წლის კურსდამთავრებულების გამოკითხვა: გამოკითხვა განხორციელდა 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში. გამოკითხვის:

- **მიზანი**: უნივერსიტეტში მიღებული განათლების მიღწეული შედეგების შეფასება;
- **კვლევის მეთოდი**: ონლაინ გამოკითხვა;
- **კვლევის ინსტრუმენტი**: რაოდნობრივი კვლევის კითხვარი;
- გამოკითხვაში მონაწილეობდა: 253 უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.
- **კვლევის შედეგად გამოვლინდა**, რომ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესოინდენტების, (უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების) დასაქმების მაჩვენებელი მაღალია (70.8%), დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კი პროფილით, კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობს და კერძო ან საჯარო სექტორში მოღვაწეობს (85.5%) სრულ სამუშაო განაკვეთზე.
- **საქმიანობის სფეროები**: განათლება/მეცნიერება/ტრეინინგი, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება და საინფორმაციო ტექნოლოგიები. დასაქმებული რესპონდენტების უმრავლესობა მუშაობს როგორც ძირითადი პერსონალი (შემთხვევათა 67%), განსაზღვრულ ხელფასზე. სამსახურის მოძიება კურდამთავრებულებისათვის არც ისე რთულია (0-დან 6 თვემდე დასჭირდა ძირითად ნაწილს - 86.0%). დასაქმების ადგილის შესახებ ინფორმაციის მოძიება ძირითადად ინტერნეტის და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით ხდება. მცირეა უნივერისტეტის ჩართულობა - ეს სწორედ ის საკითხია, სადაც კარიერული მხარდაჭერის ცენტრის საქმიანობის გაძლიერება უნდა მოხდეს.

დასაქმებული კურსდამთავრებულების მიერ მათი ანაზღაურების და კვალიფიკაციისა და შესრულებული სამუშოს თანაფარდობა საშუალოზე მაღალია, ხოლო ამჟამინდელი დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული სამუშაო პირობებით კმაყოფილების დონე - უფრო პოზიტიური. კურდამთავრებულები მიუთითებენ მუშაობის პროცესში საჭირო ისეთ უნარებსა და ცოდნაზე, რომელიც უნივერსიტეტში სწავლისას ვერ მიიღეს (პრაქტიკული უნარ-ჩვევები და უცხო ენების ცოდნა).

- **ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციები** საკუთარი კვალიფიკაციით დასაქმებისათვის: პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, სტაჟირების გავლა პროფილით, შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. ბოლო ორი კომპონენტის გაძლიერება როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია განხორციელდეს ასევე კარიერული მხარდაჭერის ცენტრის საშუალებით.

  ცაკლე განხილულია ის კურსდამთავრებულები, ვინც ამ ეტაპზე არ არის დასაქმებული, რომლის ძირითად მიზეზებსაც სამსახურის მოძიების სირთულე და სწავლის გაგრძელება (უნივერსიტეტში ან საზღვარგარეთ) სახელდება. მოცემული ჯგუფის კურსდამთავრებულების 58.1% წარსულში დასაქმებული იყო. დასაქმების მაჩვენებლები (მაგ: სექტორი, კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმება) ამჟამად დასაქმებული კურსდამთავრებულების მაჩვენებლების ტენდენციების თითქმის იდენტურია. თუმცა განსხვავდება მათი წარსული სამუშაოთი კმაყოფილების დონე და ანაზღაურებით კმაყოფილება (საშუალო და დაბალია). საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება (წარსული ან ამჟამინდელი) კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მცირე ნაწილს აქვს (7.5%), რომელთაგან უდიდესი ნაწილი არ იყო დასაქმებული კვალიფიკაციის შესაბამისად.
- **კვლევამ აგრეთვე გამოავლინა გასაუმჯობესებელი საკითხები** შრომის ბაზარზე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. რაზეც მიუთითებენ როგორც სტუდენტები ასევე დამსაქმებლები: *პრაქტიკული და უცხო ენების კომპონენტის გაძლიერება, სტაჟირების შესაძლებლობა, სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალების გაუმჯობესება და პროგრამების ე.წ. "არასაჭირო საგნებისგან" გათავისუფლება.* **ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უმრავლესობა - 59.7% აპირებს სწავლა გააგრძელოს, ძირითადად ისევ უნივერსიტეტიში (64.2%)**.

3. თსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა: გამოკითხვა განხორციელდა 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში.

- **მიზანი**: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საჭიროებებისა და პრობლემების განსაზღვრა;
- **ინსტრუმენტი**: რაოდენობრივი კვლევის კითხვარი;
- **გამოკითხულთა რაოდენობა**: 323 რესპონდენტი;
- **კვლევამ ცხადყო**: რომ აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის გარდა, დამატებით ასრულებს სამუშაოებს (საექსპერტო/საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.).

- **მასტიმულირებელ მნიშვნელოვან ფაქტორებს** შორის დასახელდა პიროვნულ/პროფესიულ რეალიზებაზე ორიენტირებული ფაქტორები და საინტერესო სამუშაო; ხოლო უკმაყოფილების გამომწვევი ფაქტორი ძირითადად უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობა და აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის მართვის პროცესში ჩართულობის შედარებით დაბალი ხარისხია.
- **გასაუმჯობესებელია**: სწავლების /შეფასების მეთოდები და მიდგომები, პერსონალის დატვირთვა, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო მასალა, სახელფასო პოლიტიკა. გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ გამოხატავს სურვილს მონაწილეობა მიიღოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში, ხოლო თითქმის მესამედი გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა: ტრეინინგები, სამეცნიერო კონფერენციები, სტაჟირების პროგრამა, გაცვლითი პროგრამები, ელექტრონული სწავლება და ა.შ. კვალიფიკაციის ამაღლების ფორმებს შორის სახელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები უცხოეთსა და საქართველოში, გამოცდილების გაზიარება კოლეგებთან და ა.შ.

4. მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა: გამოკითხვა მიმდინარეობდა 2019 წლის 9 დეკემრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით.

- **მიზანი**: უნივერსიტეტში მიღებული განათლების ხარისხის შესახებ კმაყოფილების განსაზღვრა და სხვადასხვა სერვისის შეფასება;
- **მეთოდი**: ონლაინ გამოკითხვა;
- **ინსტრუმენტი**: რაოდნობრივი კვლევის კითხვარი;
- **მონაწილე პირთა რაოდენობა**: 837 სტუდენტი;
- **კვლევის შედეგად**: სტუდენტები უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, კვლევითი, კულტურული, სპორტული თუ სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას ძირითადად უნივერსიტეტის ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტისა, LMS ანგარიშისა და თანატოლების მეშვეობით იღებენ.

  სტუდენტთა მხრიდან ყველაზე აქტუალურ და გასაუმჯობესებელ მხარედ დაფიქსირდა LMS ანგარიშის გამართულად მუშაობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების გაზრდა, კვლევითი ლაბორატორიების ხარისხი, საგამოცდო ცენტრის სისტემის მოუქნელობა, გამოცდების ორგანიზებისა და გადატანის სირთულეები, სტუდენტებისადმი არატოლერანტული, უპატივცემულო დამოკიდებულება ადმინისტრაციისა და ლექტორის მხრიდან, სასადილოს, კვების ობიექტის არარსებობა სასწავლო კორპუსებში, ცხრილის გაუმართაობა და სხვ. გამოკითხულთა 3,1%-მა თავი შეიკავა პასუხის დაფიქსირებისგან, ხოლო 1,4%-ის თქმით უნივერსიტეტში არაფერია გამოსასწორებელი.
- **სასწავლო გარემო**: კმაყოფილების დონე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, სწავლების ხარისხთან, სწავლების პორცესში გამოყენებულ სასწავლო მასალასთან, პერსონალის კვალიფიკაციასთან, შეფასების ობიექტურობა-გამჭვირვალეობასთან და სტუდენტების მხარდამჭერ სერვისებთან მიმართებით საშუალოზე მაღალია.

- **გაუმჯობესებულია**: 2018 წლის მაჩვენებლებთან შედარებით საბიბლიოთეკო სერვისების დონე. ბიბლიოთეკის სხვადასხვა რესურსებითა და მომსახურებით კმაყოფილების დონე საშუალოზე მეტია. წინა წლის მონაცემებისგან განსხვავებით დაბალი შეფასების ველში არ მოქცეულა არც ერთი კომპონენტი. კერძოდ, თუ 2018 წლის მონაცემებით წიგნების გატანის შესაძლებლობა (Mean=2.8 - 5 ქულიან სკალაზე) შეფასდა ნეგატიურად, 2019 წლის მაჩვენებლებით აღნიშნული სერვისი შედარებით გაუმჯობესებულია (Mean=3.1- 5 ქულიან სკალაზე). ასევე, მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის (წიგნები და ელექტრონული მასალები) შეფასებისას (Mean=3.8).
- **დასკვნის სახით**: მიუხედავად გამოვლენილი პრობლემებისა, უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია სტუდენტების ნახევარზე მეტის (54.8%) მოლოდინებთან, ხოლო სრულიად შეესაბამება 27%-ის მოლოდინებს. სავარაუდოდ სწორედ ამიტომ, გამოკითხულთა 41,8% სწავლის გაგრძელებას კვლავ უნივერსიტეტიში აპირებს. დაახლოებით 57,9% კი - სხვა აბიტურიენტებსაც ურჩევდა თსუ-ში ჩაბარებას.

5. დოქტორანტების გამოკითხვა: გამოკითხვა მიმდინარეობდა 2019 წლის 13 დეკემრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით.

- **მიზანი**: უნივერსიტეტში არსებული სადოქტორო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტით, მატერიალური რესუსებით, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ გაწეული კონსულტირებითა და ხელმძღვანელობით კმაყოფილების შეფასება; სწავლისა და სწავლების და პროცესების შეფასება.

  კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაკუთრებული სიმძიმის ცენტრის მატარებელია კვლევა, კვლევის პროცესი და შედეგი, ასევე სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მართვა და ხელმძღვანელობა. მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვის პროცესში დოქტორანტთა მხრიდან არანაკლები ყურადღება დაეთმო სწავლისა და სწავლების პროცესსაც, რომლის კრედიტმოცულობის მასშტაბები პირდაპირპროპორციულია დარგობრივი და კვლევითი სპეციფიკის.
- **კვლევამ აჩვენა**: სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, ისევე როგორც სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის ადეკვატურობა სტუდენტთა მხრიდან შეფასდა პოზიტიურად. რაც შეეხება პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების დოქტორანტთა 37%-ს მეტწილად რელევანტურად მიაჩნია. თუმცა წიანმდებარე თემა თითქმის იმდენივე რაოდენობრივი მაჩვენებლითაა შეფასებული ნაწილობრივ თანხმობით, კერძოდ, 27,1%. გამომდინარე პოზიტიური და ნეგატიური შეფასების თანაფარდობიდან 65,4 (+):34,3 (-), ჩანს, რომ ჩანაწერი საუნივერსიტეტო მინიმალური სტანდარტში სასწავლო კურსების ქვედაზღვრის (20 ECT) თაობაზე, სრულიად ადეკვატურია. თუმცა შესასწავლია

სასწავლო კურსების თემატიკა, რათა დადგინდეს მათი საგანმანათლებლო პროგრამაში არარელევანტურობის ასეთი მაღალი პროცენტი, მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია, რომ სასწავლო კურსებიდან მინიმალურია დარგობრივი კომპეტენციის მიმცემი (მაგ., დარგის კვლევის მეთოდოლოგია).

კითხვაზე: სასწავლო პროცესში გამოყენებულია ადეკვატური (მათ შორის, თანამედროვე) ლიტერატურა, მონაცემების მიხედვით სტუდენტთა უმრავლესობა (66,1%) სრულიად 28,4% და მეტწილად 37,7% თანხმდება, რომ ლიტერატურა გასაახლებელია.

კითხვაზე: ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასებისას შედეგების 90%-ი პოზიტიური პასუხიდან 53,6% მოდის შედეგზე, რომლის მიხედვით სტუდენტებს აქვს სრული კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კომპერტენციებისადმი დარგში. საფაკულტეტო მონაცემების მიხედვით აკადემიური პერსონალით კმაყოფილების ყველაზე მაღალი პოზიტიური მაჩვენებელი (71,8%+25%≈96%), უფიქსირდება მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს, სადაც აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით კი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში, წარმოადგენს ქვეყნის საუკეთესო სამედიცინო ინსტიტუციების კლინიცისტებს.

- **დასკვნის სახით უნდა განიმარტოს:** *დოქტორანტურის ახალი მინიმალური სტანდარტის შესაბამისად მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამებში სრულიად მკმარია სასწავლო კომპონენტის კრედიტმოცულობა;*
- **კარგ პრაქტიკად** მიჩნეულია: სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები არის ტრანსპარანტული და ამასთან ადეკვატური; ცალკეული დარგები გარდა თეორიული კვლევების კომპეტენციებისა, დოქტორანტების სწავლის პროცესში დამატებით უვითარებს ისეთ კომპეტენციებს, რაც უშუალოდ უკავშირდება შემდგომში დოქტორანტის პრაქტიკულ საქმიანობას; ელექტრონული სამეცნიერო ბაზების (Google Scholar, Web of Science, Scopus) ხელმისაწვდომობა (ელექტრონულ ბაზებს იყენებს და მათზე ხელმისაწვდომობას ადასტურებს გამოკითხულ დოქტორანტთა 78,1%, მათ შორის 42,4%-ისათვის სრულიად ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები. უნივერსიტეტის ხელშეწყობითი აქტივობები დოქტორანტების საერთაშორისო მობილობასა და ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა თუ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით; აკადემიური პერსონალის მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და დოქტორანტთა აქტიური მხარდაჭერა კონსულტაციებით ხელმძღვანელობის პროცესში.
- **გასაუმჯობესებელი მხარეები**: *სასწავლო კურსების შეთანადება პროგრამის მიზნებთან ყოველთვის არ არის თანხვედრაში, წინამდებარე პოზიცია ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დაფიქსირდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა გამოკითხვაში (45%), თუმცა ამის საპირისპიროდ სასწავლო კურსების პროგრამული თანხვედრით კმაყოფილებას გამოთქვამს მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (≈59%);*

  სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, და ეს ყველაზე მეტად ეხება მედიცინის (≈93,7%) ასევე ეკონომიკის (≈80%), ფაკულტეტებს, საჭიროა განახლდეს სასწავლო

მასალა სასწავლო კურსებში, თუმცა წინამდებარე რეკომენდაცია თანაბრად უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში;
გამოკითხვის შემდგომ ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განახლება ყველა ფაკულტეტისათვის საშური საქმეა, თუმცა პირველ რიგში წინამდებარე პრობლემა აშკარად იმ პროგრამებისთვისაა მნიშვნელოვანი, რომელიც ავითარებს ფუნდამენტურ და ექსპერიმენტალური დარგის კვლევებს;
კვლევის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა (ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები და სხვა რესურსები), სადაც დაბალია კვლევის პროცესში ინფრასტრუქტურაზე წვდომა. ანალიზის შედეგი ამ მხრივ აჩვენებს დადებითი - 44,4%, ნეგატიური პასუხები - 55,6%.